საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბახტაძე მიხეილ იოსების ძე

ბახტაძე მიხეილ იოსების ძე (8. I. 1918, თბილისი), მოცეკვავე და ქორეოგრაფი. საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1951).

1938–54 იყო თბილისში პლეხანოვის სახ. კლუბთან არსებული ბავშვთა ხალხ. ცეკვის ანსამბლის ხელმძღვანელი, იმავდროულად 1943–51 – საქართვ. შრომითი რეზერვების სამმართველოს სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ქორეოგრაფი, 1946-იდან – ამიერკავკ. რკინიგზის სამმართველოს მხატვრული აღზრდისა და ტექ. პროპაგანდის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ხელმძღვანელი, 1948–51 საქართვ. რუსთაველის სახ. თეატრალური ინ-ტის პედაგოგი –ასწავლიდა ქართ. ხალხ. ცეკვებს.

1949–56 თბილ. ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოს სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ქორეოგრაფი. 1982-იდან საქართვ. რკინიგზელთა კულტურის სასახლის დირექტორი. მის მიერ დადგმული ცეკვებიდან აღსანიშნავია „საზეიმო სიუიტა“, „საკოლმეურნეო საზეიმო“, „დიდ შესვენებაზე“, „სკოლის ეზო“ და სხვ.

ბ-ის შემოქმედებამ გარკვეული როლი ითამაშა საქართვ. თვითმოქმედი ქორეოგრაფიის განვითარების საქმეში.

ა. თათარაძე